ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223191**
თარიღი: **15/11/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მაჩხვარეთი, გვიმბალაური, ჩიბათის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჩახვაძის

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N4

მუნიციპალიტეტის დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

შეხვედრის ადგილი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული (ორაგვე).

შეხვედრის ჩატარების თარიღი - 8.11. 2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ჩახვაძე,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **კარლო წილოსანი,** მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი **ვასილ ურუშაძე,** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი **ოთარ ზენაიშვილი,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია,** მოწვეული პირები.

მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ჩახვაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან განაცხადა, რომ საკმაოდ ბევრი პრობლემებია ინფრასტუქტურული განვითარების კუთხით. მისი მიზანია გაეცნოს ყველა პრობლემას, რომელსაც წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს. შემდგომ დაისახება გეგმა, თუ როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემური საკითხები.

ვასილ ურუშაძემ განაცხადა, რომ სოფელში 40 კომლია, რომლებიც მიესალმებიან ტურისტული ზონის მოწყობას, მაგრამ ესაჭიროებათ წყლის მილების რეაბილიტაცია. საკმაოდ ძველი მილებია, შეკეთებას არ ექვემდებარება ამისათვის საჭიროა 1 000 მეტრის 200 მმ-იანი მილები.

სოფლის მოსახლეობამ განაცხადა, რომ სოფელი მთაგორიანია (ხეობაა), არ იჭერს ინერნეტი და ტელევიზია. მათი თხოვნაა რომელიმე ინტერნეტ-კომუნიკაცია მოემსახუროთ.

შორენა გოგიჩაიშვილმა განაცხადა, რომ მისი ეზოს მიმდებარედ ესაჭიროება სანიაღვრე არხი.

ვასილ ურუშაძემ ასევე აღნიშნა, რომ გაზაფხულზე უნდა დაიგეგმოს ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლა. თხილის ფართობები ფერდობებზეა გაშენებული და გზიდან დაშორებულია, ამდენად აუცილებელია საგანგებოდ მოხდეს მისი შეწამვლა.

ნარგიზ ურუშაძემ განაცხადა, რომ ის არის მარტოხელა მოხუცებული და არ აქვს სოციალური დახმარება. ითხოვს სოციალური სააგენტოს მიერ გადამოწმდეს მისი საცხოვრებელი პირობები. ასევე მან განაცხადა, რომ ეზოს მიმდებარედ დგას მეზობლის ცაცხვის ხე, რომელიც საშიშროებას უქმნის მის საცხოვრებელ სახლს. თხოვნაა, დაეხმარონ და უზრუნველყონ ხის მოჭრა.

თენგო მშვიდობაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და ომში დაღუპული გმირების სტენდის რეაბილიტაცია.

მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ განაცხადა, რომ ის ყოველთვის მზად არის დაეხმაროს მათ პრობლემების მოგვარებაში.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე